სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება 010504 /10/156-3

ქ. თბილისი 16 მაისი, 2012 წელი

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მერია (შემდგომში – შემსყიდველი), ქ. თბილისის მერის მოადგილის ტარიელ ხიზანეიშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „გლობალ ელ-დე პროექტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის პაატა ძიძიგურის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1 **ხელშეკრულების საგანია:** ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის, ცხრა ძმის ქუჩა №48-ში, მნათობის ქუჩა № 19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა № 33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. № 26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის III პუნქტის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად (2012 წლის 15 მაისის 10-18/4136 წერილი).
1.2 **ხელშეკრულების ობიექტია:** ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის შედგენა, ცხრა ძმის ქუჩა №48-ში, მნათობის ქუჩა № 19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა № 33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. № 26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
1.3. **კლასიფიკატორის კოდი – 71320000;**

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.1.1 ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის შედგენა - 1000,00 (ერთ ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს გარეშე.
2.1.2 ქ. თბილისში, ცხრა ძმის ქუჩა №48-ში, მნათობის ქუჩა № 19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა № 33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. № 26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა - 21000,00 (ოცდაერთიათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს გარეშე.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **22 000,00** (ოცდაორი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.
2.3. გასაწევი მომსახურების მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები.

4. **მომსახურების გაწევის პირობები**

4.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა:
4.1.1 ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის შედგენა – **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღე.**

ბესყიდვების საქალაქო სამსახური
რეგისტრირებულია
ხელშეკრულების № .....
სარეგისტრაციო № .....600.....
რეგისტრაციის თარიღი: 22 / 6 / 2012
ხელმოწერა: .....

4.1.2 ქ. თბილისში, ცხრა ძმის ქუჩა №48-ში, მნათობის ქუჩა № 19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა №33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. №26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა – **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღე.**

4.2. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.1 მუხლში მითითებული პირები).

5.2.შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას.

5.3.თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4.შემსყიდველს უფლება აქვს დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. მომსახურების გარანტია

6.1. საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

6.2.შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში, დეფექტურ აქტში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

6.3.შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში, დეფექტურ აქტში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

6.4. ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც წარმოიქმნება არასწორად და არაკვალიფიციურად შედგენილი პროექტის, დეფექტური აქტის (ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში) შედეგად, რაც მოითხოვს დამატებით, ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ ხარჯებს, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

7.ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.ფასები

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
9.2.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.2.2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
9.2.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
9.3.1განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
9.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტის შედგენისას;
9.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია, დეფექტური აქტი.
9.4.მიმწოდებელი ვალდებულია:
9.4.1.დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
9.4.2.დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.4.3. ხელშეკრულებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციაში, დეფექტურ აქტში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეში აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
9.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტის მიხედვით, სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, (ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში) შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში, დეფექტურ აქტში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

11. გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი")

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მიწოდების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, "ფორს-მაჟორული" სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და **ძალაშია 2012 წლის 03 ივლისის ჩათვლით.**

14. სადაო საკითხები

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქ. თბილისის მერია	შპს "გლობალ ელ-დე პროექტი"
_____	_____
ტარიელ ხიზანეიშვილი მერის მოადგილე	პაატა ძიძიგური დირექტორი
ქ. თბილისის მერია ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. № 7 სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: **LBRTGE22** საიდ. კოდი: 204521794 ა/ა: **GE95LB0125152101627000**	შპს "გლობალ ელ-დე პროექტი" ქ. თბილისი, ვ. ანჯაფარიძის ქ. № 8 სს ბანკი "რესპუბლიკა" ბანკის კოდი: **REPLGE22** საიდ. კოდი: 204542245 ა/ა: **GE52BR0000010448119549**

ქ. თბილისში,ცხრა ძმის ქუჩა #48-ში, მნათობის ქუჩა #19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა #33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. #26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა

№	სამუშაოს (ან ეტაპის) დასახელება	ღირებულება ლარებში
1	2	3
	ცხრა ძმის ქ. N48	
1	ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები	100,00
2	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა	300,00
3	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	2500,00
4	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	100,00
	სულ საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება	**3000,00**
	მნათობის ქ. N19-19ა-21	
1	ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები	100,00
2	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა	500,00
3	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	5300,00
4	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	100,00
	სულ საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება	**6000,00**
	მნათობის ქ. N33-35-37	
1	ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები	100,00
2	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა	600,00
3	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	5200,00
4	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	100,00
	სულ საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება	**6000,00**
	პ. ბაგრატიონის ქ. N26-28	
1	ტოპო–გეოდეზიური სამუშაოები	100,00
2	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა	600,00
3	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	5200,00
4	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	100,00
	სულ საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება	**6000,00**
	ჯამი	**21000,00**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
ქ. თბილისის მერის მოადგილე

შპს "გლობალ ელ-დე პროექტი"

პაატა ძიძიგური
დირექტორი

ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის შედგენა

№	სამუშაოს დასახელება	ღირებულება ლარებში
1	2	3
	ჩეჩელაშვილის ქ. N117	
1	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	450,00
2	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	50,00
	სულ დოკუმენტაციის ღირებულება	**500,00**
	აფხაზეთის ქ. I შესახვევი N5	
1	კონსტრუქციული გადაწყვეტების შემუშავება და სამუშაო ნახაზების სრული კომპლექტი	450,00
2	სამუშაოთა მოცულობების უწყისი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა	50,00
	სულ დოკუმენტაციის ღირებულება	**500,00**
	ჯამი	**1000,00**

ქ. თბილისის მერია

ტარიელ ხიზანეიშვილი
ქ. თბილისის მერის მოადგილე

შპს "გლობალ ელ-დე პროექტი"

პაატა ძიძიგური
დირექტორი

შეთანხმებულია:

გ. ყოჩიაშვილთან

ა. თაბუაშვილთან

ი. ათანასოვთან

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 16 მაისი, 2012 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, ჩეჩელაშვილის ქუჩა N117-ში და აფხაზეთის ქუჩის I შესახვევის N5-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების დეფექტური აქტის, ცხრა ძმის ქუჩა №48-ში, მნათობის ქუჩა №19-19ა-21-ში, მნათობის ქუჩა №33-35-37-ში და პ. ბაგრატიონის ქ. №26-28-ში მდებარე საყრდენი კედლების მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ქ. თბილისის მერის მოადგილე

ტარიელ ხიზანეიშვილი -

ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი

ალექსი თაბუაშვილი -

ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

ილია ათანასოვი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი

გიორგი ყოჩიაშვილი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

თამაზ ახმეტელაშვილი -

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ტექ. ზედამხედველი

გიორგი მაისურაძე –